საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 24 დეკემბრის
დადგენილება № 376

სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის
ხელშემწყობი საუნივერსიტეტი ცენტრის „ერთად“
შექმნის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ინოვაციური და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტთა გამოვლენის, მათი ცოდნის ამაღლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების, ნოვატორული პროექტების წარმოდგენა-განხორციელებისა და სტუდენტთა დასაქმების მიზნით, შეიქმნას სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო ცენტრი „ერთად“ როგორც სტრუქტურული ერთეული;
2. ცენტრისათვის გათვალისწინებულ იქნეს სამი საშტატო ერთეული;
3. ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნოს სტუ-ს სრული პროფესორი მერაბ ახობაძე.
4. დაევალოს პროფ. მ. ახობაძეს წარმოადგინოს ცენტრის დებულება და ცენტრის მიერ განსახორციელებელ პროექტთა ნუსხა;
5. სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხის გატანა წარმომადგენლობით საბჭოზე დაევალოს პროფესორ მ. ახობაძეს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**
აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**